ღია ლექციები - ‘ფროიდის ინტერპრეტაციები’

4-15 მაისი, 2026. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი

თსუ მესამე კორპუსი, აუდიტორია 304.

#	თარიღი	დრო	მომხსენებელი/ სახელი, გვარი	თემა	აბსტრაქტი
1	04-05-2026 ორშაბათი	19.00	ვახტანგ გომელაური, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი	დრო ფსიქოანალიზში - ფროიდიდან ლაკანამდე	ლექცია ეხება იმას თუ როგორ ესმის ფროიდს დროის საკითხი ფსიქოანალიზში - რატომ ამბობს, რომ არაცნობიერში დრო არ არსებობს და რატომ ბრუნდება წარსული ადამიანის ცხოვრებაში გამეორების სახით. ამ კონტექსტში ნაჩვენები იქნება, თუ როგორ კითხულობს ლაკანი ფროიდს „ლოგიკური დროის“ ცნებისა და „დასკვნითი მომენტის“ იდეის საშუალებით, სადაც ფსიქოანალიტიკურ პროცესში მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ გაცნობიერება, არამედ სუბიექტის პოზიცია იმის მიმართ, რაც დროში არ იცვლება.
2		20.20	მანანა კეჩხუაშვილი, იუნგიანელი ანალიტიკოსი	ეთიკის არსი და მნიშვნელობა ანალიტიკურ ფსიქოლოგიაში	მოხსენება ეხება ეთიკურ ურთიერთობებს ანალიტიკურ პროცესში. მასში განხილულია ეთიკის თეორიული საფუძლები იუნგიანური თვალსაზრისით. ყურადღება ეთმობა სიზმრის არქეტიპებს, რომელთა გათვალისწინება უზრუნველყოფს როგორც ანალიტიკური პროცესის და ინდივიდუაციის სწორ დინამიკას.

3	05-05-2026 სამშაბათი	19.00	გიგა მამინაშვილი, ასოციაცია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე	სხეულის საკითხი ფსიქოანალიზში - ფსიქიკური სხეული და სხეული მედიცინაში	
4		20.20	ალექსანდრე სულაძე, თსუ, მაგისტრანტი	მოქმედება სიამოვნების პრინციპის მიღმა	მოხსენება ეხება სიამოვნების პრინციპის მიღმა არსებულის როლს ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ დონეზე. მსჯელობის ორ ღერძს წარმოადგენს ფროიდის „სიამოვნების პრინციპის მიღმა“ და „კულტურით უკმაყოფილება“. როგორ უნდა გავიგოთ სიკვდილის ლტოლვის რაობა (ემპირიულად და ფილოსოფიურად), როგორ უნდა დავაკავშიროთ ის „კულტურით უკმაყოფილების“ აგრესიასთან და სუპერეგოსთან, როგორ შეიძლება დაგვეხმაროს თანატოსის ცნება დღესდღეობით სოციალურ ანალიზში? მოხსენება მიზნად ისახავს „სიამოვნების პრინციპის“ ძალადობრივ ელემენტსა და „მის მიღმიერის“ განმათავისუფლებელ პოტენციალზე ხაზგასმას.
5	06-05-2026 ოთხშაბათი	19.00	ხათუნა ივანიშვილი საქართველოს ფსიქოანალიტიკური საზოგადოება	ქალ-ქანდაკება, როგორც სიმბოლო: ძალაუფლების, თავისუფლებისა და თვითიდენტიფიკაციის ვიზუალური ენა	
6		20.20	მეგი ქავთარაძე, საქართველოს ფსიქოანალიტიკური	ბავშვთა ფსიქოანალიზის როლი თანამედროვე საზოგადოებაში	ბავშვთა ფსიქოანალიზი საფუძველს ფროიდის ნაშრომებში ჰპოვებს, რომელიც შემდგომში ობიექტთა ურთიერთობის და მიჯაჭვულობის

			ფსიქოთერაპიის საზოგადოება		თეორიით განვითარდა. იგი დღესაც გვთავაზობს თანამედროვე საზოგადოებაში ბავშვის ემოციური განვითრების, კოგნიციის, ქცევის და ფსიქიკური ჯანმრთელობის სიღრმისეულ ინტერპრეტაციას. იგი ხაზს უსვამს არაცნობიერი პროცესების, ადრეული ურთიერთობების, სუბიექტურობის ჩამოყალიბებაში სიმბოლური გამოხატულების მნიშვნელობას. ციფრული ტექნოლოგიების სწაფი განვითარების, ოჯახური სტრუქტურის ცვლილების. ტრავმული გამოცდილებების ზრდის ეპოქაში, ფსიქოანალიტიკური ხედვა ღრმა ანალიზის საშუალებას გვაძლევს, რათა გავიგოთ, თუ როგორ ხდება ბავშვის მიერ რეალობის გაშინაგნება. გარდა კლინიკურისა ის ასევე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო და სოციალური გამოცდილებიბსთვის.
7	07-05-2026	19.00	მაია კერვალიშვილი, ასოციაცია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე	ფროიდი ქართულ ლიტერატურაში -მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „კურდღელი“	მოხსენება მიზნად ისახავს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა, „კურდღლის“, განხილვას ფროიდიანული ანალიზის ჭრილში. მოთხრობის, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ფსიქოანალიტიკური პრაქტიკის ასახვის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ და მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს. კვლევაში შვილმკვდარი დედის ფსიქოემოციური მდგომარეობა გაანალიზებულია პათოლოგიური გლოვისა და მელანქოლიის კონტექსტში, სადაც ობიექტის დანაკარგი იწვევს ეგოს

	ხუთშაბათი				გახლეჩასა და რეალობის უარყოფას. ნაწარმოების ცენტრალური მეტაფორა „კურდღელი“ წარმოჩენილია, როგორც ტრავმული მეხსიერების განდევნილი შინაარსის სიმბოლური გამოხატულება, რომელიც პაციენტის ფსიქიკაში ფიქსირებულ იდეად გარდაიქმნება.
8		20.20	ანა პირველი, ასოციაცია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე	მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ ანალიზი	მიხეილ ჯავახიშვილის ჯაყოს ხიზნები წარმოადგენს სოციო-კულტურული წესრიგის კრიზისის მხატვრულ რეპრეზენტაციას, სადაც არქაული და პრიმიტიული ლტოლვითი ტენდენციების განმასახიერებელი პერსონაჟი იმორჩილებს და დომინირებს მორალურ, კულტურულ და ინტელექტუალურ სუბიექტზე.
9	08-05-2026 პარასკევი	19.00	ვახუშტი მენაბდე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი	დემოკრატიის დაკარგული ობიექტი: ფროიდიდან ადორნომდე	
10		20.20	ვალერი ლოხიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი	ტრანსცენდენტალური სუბიექტის რადიკალიზაცია ფროიდთან	მოხსენება შეეხება სუბიექტის ცნების ტრანსფორმაციას დეკარტიდან ფროიდამდე, კანტის ფილოსოფიის კონტექსტში. კანტის „იდეალიზმის უარყოფა“ აჩვენებს, რომ თვითცნობიერება ვერ იქნება დახურული შინაგანი სფერო და დამოკიდებულია გარე ობიექტებთან მიმართებაზე. ამგვარად, სუბიექტი კარგავს თვითგამჭვირვალობას, რის

					რადიკალიზებასაც შემდგომში ფროიდი ახდენს არაცნობიერის ცნებით.
11	ორშაბათი 11-05-2026	19.00	საბა შოშიტაშვილი, თსუ სტუდენტი	ფსიქოანალიტიკური ფსიქობიოგრაფია - გალაკტიონის მელანქოლია	ფსიქობიოგრაფიულ კვლევაში, ძირითადად, ორ მიდგომას იყენებენ, პირველი მიზნად ისახავს სუბიექტის კვლევას მთელი ცხოვრების განმავლობაში, ხოლო, მეორე ინდივიდის ბიოგრაფიის ცენტრალურ მოვლენას იღებს ათვლის წერტილად და მის ირგვლივ აგებს კვლევას. ჩვენ დავეყრდნობით მეორე მიდგომას და შევეცდებით გალაკტიონის სუიციდის აქტიდან გამომდინარე მოვახდინოთ პოეტის ფსიქიკური დინამიკის რეკონსტრუქცია.
12		20.20	საბა დვალიძე, თსუ სტუდენტი	შექსპირის “ჰამლეტი” - ფროიდიანული ინტერპრეტაცია	ფროიდი რამდენიმე ტექსტში უთმობს დროს ჰამლეტის პიროვნების გარკვევას და აანალიზებს მის ამოუცნობ ბუნებას. მოხსენებაში ვიმსჯელებ დანიის პრინცზე, რომელიც ეჭვისა და სურვილის ტრაგედიით არის დაღდასმული. რატომ უჭირს ჰამლეტს შურისძიება ბიძაზე, რომელმაც საკუთარი ძმა, იგივე ჰამლეტის მამა და დანიის ხელმწიფე, სიცოცხლეს მუხანათურად გამოასალმა, შემდეგ კი ძმის ტახტსა და მეუღლეს დაეპატრონა? ჩვენი მიზანია გავიგოთ, როგორ მუშაობს ოიდიპოსის დრამა ჰამლეტთან და ფროიდის თეორიულ კონსტრუქტებს - ოიდიპოსის კომპლექსი, კასტრაციის შფოთვა, განდევნა, იდენდიფიკაცია,

					სექსუალობისა თუ ლტოლვის ცნებები და ა.შ.
13	**სამშაბათი 12-05-2026**	19.00	რევაზ კორინთელი (იუნგიანელი ანალიტიკოსი)	ფსიქოანალიზი და კინემატოგრაფი	ლექცია ეძღვნება ფსიქოანალიზისა და კინემატოგრაფის ურთიერთმიმართებებს. მასში განიხილება ის კომპლექსები, რომლებიც კინემატოგრაფიულ ნარატივებსა და პერსონაჟთა კონსტრუქციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.
14		20.20	რუსუდან ახვლედიანი (ანალიტიკური ფსიქოლოგიის რუტერი)	ტრავმის ინტეგრაცია და ხელახალი დაბადება „გმირის მოგზაურობის“ არქეტიპულ ჭრილში	ნაშრომი იუნგიანური პერსპექტივით იკვლევს ტრავმის ინტეგრაციას „გმირის მოგზაურობის“ კონტექსტში. არქეტიპების, კომპლექსებისა და კლინიკური შემთხვევების ანალიზით, სტატია წარმოაჩენს ტრავმულ ჭრილობას, როგორც პიროვნული ტრანსფორმაციისა და ხელახალი დაბადების შესაძლებლობას.
15	**ოთხშაბათი 13-05-26**	19.00	მაია ბოჭორიშვილი (იუნგიანელი ანალიტიკოსი)	დედა-დედამთილის არქეტიპი	იუნგიანურ ლიტერატურაში არ არის ცნება”დედამთილის არქეტიპი”. დედამთილის არქეტიპი დიდი დედის არქეტიპის ნაწილია და დედის კომპლექსის ელემენტი. თემა აქტუალურია ანალიტიკურ ოთახში. მნიშვნელოვანია ამ არქეტიპის დანახვა მითოლოგიაში, მსოფლიო და ქართულ ლიტერატურაში.
16		20.20	ნინო ღამბაშიძე (იუნგიანელი ანალიტიკოსი)	ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან	ჩვენში ფსიქიკური ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ფსიქოპათოლოგიებთან გამკლავების

				დაკავშირებული სალოცავები საქართველოში	ტრადიცია და მიდგომები ვრცელი და მრავალმხრივი საკითხია. მოხსენების ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ შევეხებით სამ ქართულ სალოცავს, სადაც, გამოჯანმრთელების მიზნით, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები მიყავდათ. მოხსენებაში ვისაუბრებთ რა ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები მიყავდათ, ვინ და როგორ „მკურნალობდნენ“ მათ. მოხსენება ეყრდნობა გამოქვეყნებულ, საარქივო და ჩვენ მიერ ველზე მოპოვებულ მასალებს და კვლევას.
17	**ხუთშაბათი 14-05-26**	19.00	რევაზ კორინთელი (იუნგიანელი ანალიტიკოსი)	ქალის არქეტიპები	ლექცია მიეძღვნება ქალის არქეტიპების ანალიზს. აღნიშნული კომპლექსების თეორიული გააზრება და მათი სისტემური შესწავლა ქალს აძლევს შესაძლებლობას, უფრო სიღრმისეულად გააცნობიეროს საკუთარი შინაგანი დინამიკა და ეფექტიანად გაანალიზოს ურთიერთობები მამაკაცებთან, მშობლებთანა და შვილებთან.
18		20.20	პაატა ჯოლბორდი თსუ, დოქტორანტი	ფროიდი და ფროიდიანელები რელიგიის შესახებ	
19	პარასკევი 15-05-26	19.00	გიორგი მაისურაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი	ფსიქიკური ხდომილება და მეხისერების კვალი	ფროიდი "ლეონარდო და ვინჩის ბავშვობის მოგონებებში" ფროიდი აანალიზებს ლეონარდოს ერთ ბავშვობის მოგონებას და მას ხელოვანის გვიანდელ ფანტაზიად მიიჩნევს, რომელიც ბავშვობაშია გადატანილი. ასეთი

					გადატანის (versetzen) მექანიზმის ანალოგიად ფროიდს ძველი ხალხების ისტორიული ქრონიკები მოაქვს, სადაც გახსენებული წარსული გვიანდელი ეპოქის რეალობის ასახვად მიაჩნია. ამავე თემას უფრო განვრცობილად ფროიდი თავის უკანასკნელ წიგნში - "კაცი მოსე და მონოთეისტური რელიგია" - უბრუნდება. სადაც ის ისტორიული მეხსიერების თავისებურ თეორიას ქმნის, რომელიც XXI საუკუნეში იან ასმანის "კულტურული მეხსიერების" თეორიის ერთ-ერთ მთავარ ინსპირაციად იქცა.
20		20.20	თინათინ თიაბაშვილი (იუნგიანელი ანალიტიკოსი)	როდის გადადის ინდივიდუალური სიზმარი სოციალურ განზომილებაში: იუნგიანური პერსპექტივა	მოხსენება შეეხება სიზმრის სოციალური განზომილების განხილვას კარლ გუსტავ იუნგის ანალიტიკური ფსიქოლოგიის ჭრილიდან. სიზმრის გაგების ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოზე დაყრდნობით წარმოდგენილი იქნება შარლოტ ბერადის მიერ ტოტალიტარული რეჟიმის დროს შეგროვებული სიზმრები და ასევე, რომელიმე სიზმარი ქართული ლიტერატურიდან. განხილული იქნება სიზმრის სოციალური მატრიცის პრაქტიკა, როგორც სიზმრის ინტერპრეტაციის სოციალური და კულტურული ასპექტების კონტეინერი.